სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

71385533243219

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190634541

რეგისტრაციის თარიღი

04.06.2019 წ

ნოტარიუსი: ლია ირემაძე
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი №23ა, კომერციული ფართი №45, ბლოკი „გ“, II სართული.
ტელეფონი: 599167349

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ცხრამეტი წლის ოთხ ივნისს მე, ნოტარიუს ლია ირემაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №23ა, კომერციული ფართი №45, ბლოკი „გ“, II სართული, მომმართა შპს „ბაზიტი“-ს დირექტორმა ბატონმა მიხეილ ალიბეგაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ სურს საზოგადოების სახელით ზურაბ ლოლაშვილს მიანიჭოს გარკვეული უფლებამოსილება და ამისათვის მოითხოვა სათანადო აქტის (მინდობილობის) შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მიხეილ ალიბეგაშვილმა (დაბ. 31.10.1975წელს თბილისში, პირადი №01019005647, რეგისტრირებული: თბილისი, დეპოს ქუჩა, N19) მომმართა.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „ბაზიტი“ /საიდენტიფიკაციო კოდი: №400225065 /, რაც დასტურდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17136716, 15/12/2017.

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა ლია ირემაძემ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მარწმუნებელს და განვუმარტე მისი შინაარსი. მან პირადად წაიკითხა მინდობილობა და დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

ორი ათას ცხრამეტი წლის ოთხ ივნისს მიხეილ ალიბეგაშვილმა, როგორც შპს „ბაზიტი“ /საიდენტიფიკაციო კოდი: №400225065 / დირექტორმა, რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც „მარწმუნებელი“, წინამდებარე მინდობილობით ზურაბ ლოლაშვილს (დაბ. 01.10.1961წელს თბილისში, პირადი №01008008282), რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც „რწმუნებული“, საზოგადოების სახელით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. რწმუნებული უფლებამოსილია აწარმოოს შპს „ბაზიტი“ /საიდენტიფიკაციო კოდი: №400225065 / სახელზე რიცხულ ნებისმიერ უძრავ ნივთზე საპროექტო და სამშენებლო საქმეები. ამ მიზნით იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, იუსტიციის სახლში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, მერიაში და მისდამი დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამსახურში, ჩააბაროს და მოიპოვოს ყველა საჭირო საბუთი მარწმუნებლის სახელით, გააკეთოს მარწმუნებლის სახელით ნებისმიერი სახის განცხადებები, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს და მიიღოს მშენებლობის პროექტი და მშენებლობის ნებართვა, გადაიხადოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები, მოაწეროს ხელი მარწმუნებლის მაგიერ ნებისმიერ საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ის ფორმალური მოქმედებები, რაც დაკავშირებულია ამ დავალებასთან.
2. ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომლის ერთი ეგზემპლიარი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეს.
3. მინდობილობა გაცემულია 1 /ერთი/ წლის ვადით და ძალაშია 2020 /ორი ათას ოცი/ წლის 4 ივნისის ჩათვლით.

გადახდილია 12,00 (თორმეტი) ლარი - აქედან: სანოტარო საზღაური 10,00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი _____

ნოტარიუსი /ლია ირემაძე/